

# GC აღმანახი

*№4 / აპრილი, 2020 წ.*



## სარჩევი

საფრანგეთის რესპუბლიკაში მუნიციპალური არჩევნები გაიმართა.....	3
ევროკავშირი ჩრდილოეთ მაკედონიასთან და ალბანეთთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებებს იწყებს.....	5
ნატო-ს ონლაინ მინისტერიალი და საქართველოს მხარდამჭერი გადაწყვეტილება .....	7
ფოთის პორტში ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის 4 ხომალდი შემოვიდა.....	9
ჩინეთის ლოგისტიკური შესაძლებლობები შორეული საზღვაო ექსპედიციებისათვის.....	11
კორონავირუსი და აშშ თავდაცვის დეპარტამენტის დისტანციური მუშაობის სისტემა.....	13
რუსეთის მცოცავ ოკუპაციას ვერც კოვიდ 19 აფერხებს .....	15
საქართველო მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში .....	16

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი,

## საფრანგეთის რესპუბლიკაში მუნიციპალური არჩევნები გაიმართა

მიმდინარე წლის 15 მარტს საფრანგეთის რესპუბლიკაში მუნიციპალური არჩევნების I ტური გაიმართა.



მსოფლიოში არსებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის ფონზე ჩატარებულ არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - მოქალაქეთა მხოლოდ 44%-მა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

შედეგების [თანახმად](#), 2020 წლის მუნიციპალური არჩევნების I ტური ფრანგულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, ზოგადად, განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა *ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტიისთვის (EELV)*, აგრეთვე, იგი *მემარჯვენე (PR)* და *მემარცხენე (PS)* პარტიების ერთგვარ პოლიტიკურ რენესანსადაც შეიძლება მივიჩნიოთ, *მმართველი პარტიისთვის - „რესპუბლიკა წინ“ (LAREM)* - კი ეს არჩევნები ნაკლებად წარმატებული გახლდათ, რამაც ხაზი გაუსვა ე.წ. „მაკრონიზმის“ იდეოლოგიის სუსტ გავლენას ადგილობრივ დონეზე; რაც შეეხება მარინ ლე პენის *უკიდურესად მემარჯვენეთა პარტიას (RN)*, ამ პარტიისთვის მოცემული არჩევნები, უმეტესწილად, მოსალოდნელი შედეგებით დასრულდა.

კერძოდ, არჩევნების I ტურში საფრანგეთის დედაქალაქის მერობისთვის მეზრძოლ კანდიდატებს შორის პარიზელი ამომრჩევლის უმრავლესობამ (29%) კიდევ ერთხელ - მე-2 ვადით გამოუცხადა ნდობა **პარიზის** სოციალისტ მერს - ანა იდალგოს, ხოლო მემარჯვენე კანდიდატი რესპუბლიკელთა პარტიიდან რაშიდა დატი მე-2 ადგილზე გავიდა (23%), მმართველი პარტიის კანდიდატმა, საფრანგეთის ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ანიეს ბუზანმა კი მე-3 პოზიცია დაიკავა (17%).

პარიზის გარდა, **მემარცხენე სოციალისტური პარტიის (PS)** კანდიდატებმა მოწინავე პოზიციები მოიპოვეს, აგრეთვე, რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში - **ნანტსა და ლილში**. თბილისთან დამშობილებული ქალაქის - ნანტის მაცხოვრებელთა უმრავლესობამ, რომელიც უკვე 30 წელია სოციალისტური პარტიის მხარდამჭერია, ნდობა კვლავ - მე-2 ვადით გამოუცხადა ნანტის სოციალისტ მერს - ჟოანა როლანს. მსგავსად, ლიდერი პოზიცია მოიპოვა ლილის მერობისთვის მეზრძოლ კანდიდატებს შორის ქალაქის

ამჟამინდელმა მერმა მარტინ ობრიმ, რომელიც უკვე 18 წელია იკავებს ლილის მერის პოზიციას.

რაც შეეხება **მემარჯვენე რესპუბლიკელთა პარტიას (PR)**, კრისტიან ესტროზიმ, რომელიც ნიცის მერი 2008 წლიდან გახლავთ, ამომრჩევლის ხმათა 48%-ით ამჟამადაც ლიდერი პოზიცია მოიპოვა ნიცის მერობისთვის მეზობლ კანდიდატებს შორის, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ტრადიციულად მემარჯვენე იდეოლოგიის მხარდამჭერია. ასევე, ტრადიციულად მემარჯვენე ქალაქად მიჩნეულ **ბორდოში** მოწინავე პოზიციაზე იმყოფება ამჟამინდელი მერი - ნიკოლა ფლორიანი მემარჯვენე რესპუბლიკელთა პარტიიდან (PR), მაგრამ ნაკლებად მყარი შედეგით - იგი მხოლოდ 96 ხმით უსწრებს მე-2 ადგილზე გასულ კანდიდატს *ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პოლიტიკური პარტიიდან (EELV)* და ეს იმ ფონზე, როდესაც არჩევნების I ტურში მონაწილეობა ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ 37%-მა მიიღო. აღნიშნული შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ქალაქისთვის, რომელსაც ბოლო 75 წლის განმავლობაში მხოლოდ ორ მერი ჰყავდა და პირველად მთელი ამ დროის განმავლობაში, ქალაქში ჩატარდება მუნიციპალური არჩევნების II ტური.

რაც შეეხება მმართველი პარტიის - „რესპუბლიკა წინ“ (LAREM) - კანდიდატებს, ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა მოცემული არჩევნების I ტური მათთვის, მათ შორის, იმ ქალაქებში - **ლიონსა და სტრასბურგში**, სადაც წინასწარი გამოკითხვების თანახმად, მათ მოწინავე პოზიციები ეკავათ. მაგალითად, ლიონში მმართველი პარტიის კანდიდატი მე-3 ადგილზე გავიდა *ეკოლოგისტებისა და მწვანეთა მოძრაობისა და მემარჯვენე რესპუბლიკელთა* პარტიების კანდიდატთა შემდეგ; აგრეთვე, ლიდერი პოზიცია მოიპოვა *ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტიის (EELV)* კანდიდატმა სტრასბურგში, ხოლო მმართველი პარტიის კანდიდატი კი მე-2 ადგილზე გავიდა. **მმართველი პარტიისთვის** წარმატების მომტანი აღმოჩნდა არჩევნების I ტური ქალაქ **ჰავრში**, სადაც კენჭს იყრიდა პრემიერ მინისტრი ედუარდ ფილიპი, რომელიც ამავე ქალაქის მერი გახლდათ 2010-2017 წლებში და ამჯერადაც, ამომრჩევლის ხმათა უმრავლესობით მოწინავე პოზიცია დაიკავა ქალაქის მერობისთვის მეზობლ კანდიდატებს შორის.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მუნიციპალური არჩევნების II ტური, რომელიც ამა წლის 22 მარტს იყო ჩანიშნული, გაუქმდა და იგი, ყველაზე გვიან, მიმდინარე წლის ივნისში [გაიმართება](#) (სავარაუდოდ, 2020 წლის [21 ივნისს](#)).

## ევროკავშირი ჩრდილოეთ მაკედონიასთან და ალბანეთთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებებს იწყებს

„დღევანდელი დღე სიმბოლურად გახლავთ უფრო დიდი და უფრო ძლიერი ევროკავშირის დასაწყისი და ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ევროკავშირის გეოსტრატეგიულ ინტერესს“, - სწორედ ასე [შეაფასა](#) ევროპული კომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, ამა წლის 24 მარტს, ევროკავშირის საბჭოში მიღწეული შეთანხმება ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაზე.

აღნიშნული საკითხის განხილვა ევროკავშირის დონეზე სამჯერ გადაიდო წევრი სახელმწიფოების განსხვავებული პოზიციების გამო. საერთო ჯამში კი, 27 წევრი ქვეყნის თანხმობას გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაზე ჩრდილოეთ მაკედონია ჯერ კიდევ 2005 წლიდან, ალბანეთი კი 2014 წლიდან ელოდა. თუმც, ევროკავშირის პირობის მიხედვით, ალბანეთმა გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების პროცესის დაწყების ოფიციალურ თარიღამდე (რომელიც ამ ეტაპზე არ დასახელებულა) რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, საარჩევნო სისტემის კუთხით რეფორმა უნდა [განახორციელოს](#).

ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანასთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებიდან უშუალოდ ევროკავშირში გაერთიანებამდე პერიოდი ვარირებს კანდიდატი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესის შესაბამისად. მაგალითად, ჩრდილოეთ მაკედონიისა და ალბანეთის გარდა, სხვა ოფიციალურ კანდიდატებთან



ევროკავშირმა მოლაპარაკებები დაიწყო - 2005 წელს თურქეთთან, თუმც, იგი „გაყინულია“, ევროკავშირის შეფასებით, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, ხოლო 2012 წელს მონტენეგროსთან და 2014 წელს სერბეთთან დაწყებული მოლაპარაკებების ფაზა დღემდე გრძელდება. ამ მხრივ, საინტერესოა ხორვატიის მაგალითი, რომელიც ევროკავშირის ყველაზე ბოლოს - 2013 წელს შეუერთდა და რომელთანაც მოლაპარაკებები გაწევრიანების თაობაზე მხოლოდ 7 წელს გაგრძელდა.

კონკრეტულად ჩრდილოეთ მაკედონიასთან და ალბანეთთან მიმართებით კი, ევროკავშირის მხრიდან 2018 წელს [აღნიშნა](#), რომ სავარაუდოდ, ეს ორი ქვეყანა წევრობისთვის მზად 2030 წლისთვის იქნებიან, მანამდე კი - ასევე სავარაუდოდ - 2025 წლისთვის სერბეთი და მონტენეგრო.

ევროკავშირის აღნიშნული პოლიტიკური გადაწყვეტილება და მზაობა ახალ ქვეყნებთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაზე პოზიტიური გზავნილია გაერთიანებაში ინტეგრაციის მსურველი სხვა ქვეყნებისთვის, უპირველესად კი, საქართველოსთვის - ევროკავშირის წევრობის კანდიდატურის მომზადების პროცესში; მით უმეტეს, რომ გარკვეული მოსაზრებ(ებ)ის [თანახმად](#) [და არცთუ ისე უსაფუძვლო], საქართველო გაცილებით მეტად არის მზად ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, ვიდრე ევროკავშირის წევრობის ოფიციალური კანდიდატი ქვეყნები.



პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

### ნატო-ს ონლაინ მინისტრიალი და საქართველოს მხარდაჭერი გადაწყვეტილება



ფოტო: <https://mfa.gov.ge>

2020 წლის 2 აპრილს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრიალი გაიმართა. კორონავირუსის გავრცელების შედეგად შექმნილი ვითარების გამო ნატო-ს ისტორიაში პირველად მინისტრიალი დისტანციური ფორმატით ჩატარდა.

ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალამდე, აშშ-ს წარმომადგენელმა ალიანსში, კეი

ბეილი ჰატჩისონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები რჩება მისი პარტნიორების, მათ შორის საქართველოს და უკრაინის ერთგული.

„ჩვენ ნატო-ს მოკავშირეების აბსოლუტური უსაფრთხოების ერთგულნი ვართ, ისევე როგორც ჩვენი პარტნიორების, როგორებიცაა უკრაინა და საქართველო, სადაც რუსეთი მათ სუვერენულ უფლებებს ზღუდავს“- განაცხადა კეი ბეილი ჰატჩისონმა. საქართველოს, უკრაინის და ბოსნია-ჰერცეგოვინის წევრობის შესახებ დასმული კითხვის პასუხად კი, მან თქვა, რომ აშშ რჩება ერთგული ამ ყველა ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებისადმი. „ჩვენ ვართ ერთგულნი იმის, რომ ყველა ეს ქვეყანა გახდება მომავალი ნატო-ს წევრი. ჩვენ თითოეული მათგანის წევრობა გვინდა“ - დასძინა მან.

აშშ-ს ელჩმა ნატო-ში მინისტრიალამდე დაადასტურა, რომ საქართველოსთვის მხარდაჭერის ახალი პაკეტის შეთავაზება იქნებოდა განხილული.

ნატო-ს ონლაინ მინისტრიალზე საქართველოსა და უკრაინისთვის ახალი პაკეტის შეთავაზებაზე იმსჯელეს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის ახალი ზომების შესახებ. კერძოდ, ხსენებული ზომები გულისხმობენ შემდეგ ინიციატივებს: 1) საქართველოსა და უკრაინის უფრო მეტად ჩართვას შავ ზღვაზე დაგეგმილ ალიანსისა და წევრი ქვეყნების სწავლებებსა და წვრთნებში; 2) ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თანამშრომლობის გაღრმავებას; 3) საქართველოს ჩართვას შავი ზღვის რეგიონის საჰაერო სივრცის მონაცემთა გაცვლის რეგიონალურ პროგრამაში; 4) უკრაინის უფრო მეტად ჩართვას ნატო-

საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრსა (JTEC) და საქართველოს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში (DIBS) დაგეგმილ ღონისძიებებში.

ამასთანავე, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე განიხილეს კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ეხმარება მოკავშირეებს სამედიცინო-ტექნიკური და ჰუმანიტარული თვალსაზრისით. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედროები კრიზისის გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მათ შორის - საველე ჰოსპიტლების მშენებლობის, პაციენტების გადაყვანის, საჯარო სივრცეების დეზინფექციის და საზღვრების უსაფრთხოების საკითხებში.

ასევე, ნატო-ს 2 აპრილის მინისტერიალში პირველად ჩრდილოეთ მაკედონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო. ცნობისთვის ამა წლის 27 მარტს ჩრდილოეთ მაკედონიის სახელმწიფო ალიანსის 30-ე წევრი გახდა.

ნიშანდობლივია, რომ გლობალური გამოწვევების მიუხედავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას და მკაფიოდ მიანიშნებს მის როლზე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონტექსტში. ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები არა მხოლოდ გაზრდის საქართველოს შესაძლებლობებს უკეთ გამუკლავდეს ჰიბრიდულ და სხვა გამოწვევებს, არამედ ხელს შეუწყობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას. ამასთანავე, ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, საქართველოსა და უკრაინის ახალი პაკეტი, მხარდაჭერილი ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ, გააძლიერებს ნატო-ს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას ორივე ქვეყნის მიმართ. ცხადია, ყოველივე ეს ინტეგრაციის სხვა ინსტრუმენტებთან, საშუალებებთან ერთად უფრო ხელშესახებს გახდის ნატო-საქართველოს თანამშროლობას.

წყარო:

<https://mfa.gov.ge/News/2020-clis-2-aprils-nato-s-sagareo-saqmeta-minister.aspx?CatID=5>

<https://www.amerikiskhma.com/a/nato-georgia-partnership/5357542.html>



## ფოთის პორტში ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის 4 ხომალდი შემოვიდა



ფოტო: <http://bpg.gov.ge/ge/news/visits/shinagan-saqmeta-saministros-sasazgvro-policia-saqartvelos-teritoriul-wylebshi-natos-xomaldebs-maspindzlobs1.page>

7 აპრილს ფოთის პორტში ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) 4 ხომალდი შემოვიდა: ფლაგმანი ITS VIRGINIO FASAN (იტალია), HMCS FREDERICTON (კანადა), ROS REGINA MARIA (რუმინეთი) და BGS VERNI (ბულგარეთი). დაგეგმილ ერთობლივ წვრთნებში კი შენაერთის მეხუთე ხომალდიც TCG SALIHREIS (თურქეთი) ჩაერთო.

2020 წელს ეს საქართველოში შენაერთის პირველი ვიზიტია. 2019 წლის მანძილზე ალიანსის ხომალდები საქართველოს პორტებს ორჯერ - აპრილსა და ოქტომბერში ესტუმრნენ.

წვრთნების მიზანია ნატო-სა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდების ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შენაერთის ვიზიტი შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ნატო-საქართველოს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია და ალიანსის მხრიდან საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის მორიგი დადასტურებაა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით კი მსოფლიოსა და საქართველოში კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში ნატო-ს საქართველოსადმი მხარდაჭერის მკაფიო გზავნილია და ნათლად ადასტურებს ალიანსის ერთგულებას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების კურსისადმი.

ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით განხორციელდა. კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, გაუქმდა საჯარო და კულტურული ღონისძიებები. შეხვედრები დისტანციურად, ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა. ერთობლივი წვრთნები კი მოიცავდა მხოლოდ ხომალდების მანევრებს ეკიპაჟების ურთიერთქმედების გარეშე.

ნატო-ს საზღვაო შენაერთის რეგულარული ვიზიტები ხელს შეუწყობენ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებას და გაზრდიან საქართველოს თავსებადობას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტანდარტებთან.

*წყაროები:*

<http://bpg.gov.ge/ge/news/visits/shinagan-saqmeta-saministros-sasazgvro-policia-saqartvelos-teritoriul-wylebshi-natos-xomaldebs-maspindzlobs1.page>

<https://mfa.gov.ge/News/q-fotis-portshi-nato-s-mudmivmoqmedi-meore-sazgvao.aspx?CatID=5>

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## ჩინეთის ლოგისტიკური შესაძლებლობები შორეული საზღვაო ექსპედიციისათვის



ფოტო: ლი განგ/ხინშუა, AP

მიუხედავად დღეს არსებული გლობალური პანდემიისა, საერთაშორისო არენის დიდი მოთამაშეების გეოსტრატეგიული ინტერესები არსად არ წავლენ და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები ახლებურ ჭრილში კვლავინდებურად დღის წესრიგში დგას. განსაკუთრებით საინტერესოა ის გავლენა რაც პოსტკოვიდ სამყაროს ექნება ჩინეთის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე.

ამ ჭრილში საინტერესოა, აშშ-ჩინეთის ეკონომიკური და უსაფრთხოების მიმოხილვის კომისიის პატრონაჟის ქვეშ [ჯანესის-კვლევითი ცენტრის ანალიზი](#), რომელიც ჩინეთის სამხედრო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამოყენების შესაძლებლობას და მის ლოგისტიკურ მხარეს აფასებს.

ანგარიშის მიხედვით, ჩინეთმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვების კუნძულების პირველ და მეორე სარტყელებში

განხორციელებულ ინვესტიციების შედეგად, შექმნა შეკავების იმდაგვარი ეფექტი, რაც პოტენციური მოწინააღმდეგებს სერიოზულად დააფიქრებს შედეგებზე ვიდრე რაიმე აგრესიულ ნაბიჯს გადადგამენ. ამის გარდა, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული იმ შესაძლებლობების განვითარების კუთხით, რომელიც ჩინეთს დაეხმარება წარმატებულად იმოქმედოს ბუნებრივი კატასტროფებისა დროს და მონაწილეობა მიიღოს ისეთ გლობალურ აქტივობებში, როგორც არის საზღვაო მეკობრეობასთან ბრძოლა.

მაგრამ, აღნიშნული კვლევის თანახმად, როდესაც საუბარი ფართო მასშტაბის საექსპედიციო ოპერაციებზეა, განსაკუთრებით შორეულ დისტანციებზე, ჩინეთის საზღვაო შესაძლებლობები კვლავინდებურად შეზღუდულია.

ანალიზის თანახმად, ჩინეთის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ინვესტიციები, ისეთი როგორც არის მისი სამხედრო ბაზა ჯიბუტში, საშუალებას აძლევს მას აშშ-ის ახლო აღმოსავლეთში და სპარსეთის ყურეში ოპერაციების მონიტორინგი განახორციელოს და შესაძლებელია მომავალში მის აქტივობების ხელის შესაშლელადაც იყოს გამოყენებული. ამასთან ნაკლებ სავარაუდოა მიმდინარე წლის განმავლობაში ჩინეთმა გააფართოვოს მისი ყოფნა რეგიონში.

თუმცა, 2021 წლიდან, კვლევის თანახმად, ჩინეთი შეეცდება გაზარდოს მისი სამხედრო ინფრასტრუქტურა ჯიბუტის ლოგისტიკურის ცენტრის მიღმა. „ჩინეთის ფლოტისა და არმიის მოდერნიზაციის გეგმა 2035“-ის მიხედვით, თეორიულად ჩინეთს მომავალში მიეცემა შორეული საზღვაო ოპერაციების განხორციელების საშუალება, თუმცა ავიაციის გამოყენების საკითხი კვლავინდებურად პრობლემურად დარჩება, ავიაშიდების შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ამის საკომპენსაციოდ აუცილებლად იქნება დამატებითი სამხედრო და ავიაბაზების განთავსების აუცილებლობა მეგობრულად განწყობილ ქვეყნებში.

ანგარიშში მოცემულია რეკომენდაცია, რომ აშშ დაიწყოს აქტიურად იმ ქვეყნებში ინვესტირება სადაც ჩინეთი ერთი გზისა და სარტყლის პროექტის ფარგლებში აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს, ვინაიდან ზოგადად კვლევის თანახმად, მომავალში ჩინეთი შეეცდება იმ ქვეყნებში გააქტიურდეს, რომლებიც აშშ მხრიდან თანამშრომლობის ვაკუუმს განიცდიან.

კვლევის ავტორების თანახმად, ასეთ ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება აუცილებელია, ბილეთარული და მულტილეთარულ ფორმატებში.

პოსტპანდემიური მსოფლიოს გეოპოლიტიკური სივრცე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციების მოლოდინშია. ამ მხრივ ჩინეთის ფაქტორი ერთ-ერთი გადამწყვეტი იქნება.

## კორონავირუსი და აშშ თავდაცვის დეპარტამენტის დისტანციური მუშაობის სისტემა



არსებულმა პანდემიამ განსაკუთრებული სამუშაო პირობები შექმნა სრულიად სამყაროსათვის. გამონაკლისი არც აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი, რომელსაც უმოკლეს დროში მოუწია ათასობით თანამშრომლისათვის დისტანციური მუშაობის უსაფრთხო სისტემის გამართვა მოწყობა.

27 მარტს პენტაგონმა გაუშვა სისტემა - [„კომერციული ვირტუალური დისტანციური გარემო“](#) (Commercial Virtual Remote environment, or CVR ), რომელიც ღრუბელში განთავსებულ დიდ ვებსერვისს წარმოადგენს, რომლის მიზანია პენტაგონის თანამშრომლებისათვის და ქვეკონტრაქტორი პირებისათვის ვიდეო კონფერენციებისთვის და სხვა საჭირო სამუშაო კავშირებისთვის შესაბამისი კომუნიკაციის უზრუნველყოფა. ამ დროის სისტემა მომხმარებელთა 900 000 -ზე მეტ ანგარის აერთიანებს.

მალე თავდაცვის დეპარტამენტი მიაღწევს მომხმარებელთა 200 000 ნიშნულს.

საჰაერო ძალები: 200,000.

ფლოტი: 65,000.

საზღვაო ქვეითებში მომხმარებელთა რაოდენობა 12,000-დან 60,000-მდე სამ დღეში გაიზარდა. მაგალითისთვის, Microsoft outlook-ის მომხმარებელთა რიცხვი მარტო ფლოტში 10 000-დან 80 000-მდე გაიზარდა უკანასკნელი კვირების განმავლობაში. გარდა ამისა, შეიქმნა კომუნიკაციების მთელი ქსელი არა ერთ საველე ჰოსპიტალთან დასაკავშირებლად.

საინტერესოა რამდენად შეძლებს პენტაგონი აღნიშნული სისტემების შენარჩუნებას თანამშრომელთა შესაბამისი პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად კრიზისის დასრულების შემდეგომ პერიოდში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ადამიანთა შეხვედრების აუცილებლობა.

კიბერუსაფრთხოების და გამართული IT ტექნოლოგიების მნიშვნელობა აქამდე არასდროს ყოფილა ასე აქტუალური მსოფლიოს მასშტაბით საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად.



ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## რუსეთის მცოცავ ოკუპაციას ვერც კოვიდ 19 აფერხებს




ფოტო: ნინო ალავეცი/agenda.ge

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, 2020 წლის 17 აპრილს რუსმა სამხედროებმა ქარელის რაიონში, სოფელ ტახისძირთან განაახლეს ბორდერიზაციის პროცესი. საკითხის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა, როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, ასევე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს. ეუთოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლობებმა, საკითხთან დაკავშირებით, გააკეთეს განცხადებები, რომლითაც დაგმეს რუსეთის მხრიდან წარმართული პროცესი და განმარტეს, რომ ნებისმიერი მანიშნებლის, ღობისა თუ ბარიერის აღმართვა კიდევ უფრო აძლიერებს ე.წ. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ უკანონო ბორდერიზაციას, აღრმავებს დესტაბილიზაციას და სოციალურ გაჭირვებას. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა ისიც, რომ 2019 წლიდან მოყოლებული არა ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ბორდერიზაციას და მის თანამდევ პროცესებს.

სიტუაცია შეაფასა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც და აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო კოვიდ 19-ით შექმნილ პანდემიას ებრძვის, რუსეთი განაგრძობს დესტრუქციას, რაც განსაკუთრებით შემამოფოთებელია. 2020 წლის 23 აპრილს გაიმართა ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომა, სადაც ქართული მხარის ინიციატივით 17 აპრილს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზზე ე.წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერების აღმართვის უკანონო პროცესთან დაკავშირებით იმსჯელეს. შეხვედრაზე საქართველომ ასევე დაგმო მიმდინარე წლის 22 მარტს ოკუპირებულ აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. არჩევნები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ქვეყნის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს ევროკავშირის, აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, აზერბაიჯანის, ნორვეგიისა და უკრაინის წარმომადგენლებმა.

რუსეთის მიერ 2008 წლიდან წარმოებული უკანონო ბორდერიზაციის პროცესი ანექსიის პოლიტიკის ერთ-ერთი კომპონენტია და მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვას. ნიშანდობლივია, რომ პანდემიურ პერიოდში კოვიდ 19-თან დაკავშირებულ საკითხებზე ყურადღების განსაკუთრებული კონცენტრირება რუსეთისთვის ხელსაყრელი გარემოება გამოდგა საკუთარი ექსპანსიონისტური ზრახვების განსახორციელებლად. ამ ყველაფრის ფონზე კიდევ უფრო პარადოქსულად ჟღერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 21 აპრილს ფრენების აღდგენასთან, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან და კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული განცხადებები.

### საქართველო მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში



ფოტო: <https://rsf.org>

ორგანიზაციამ რეპორტიორები საზღვრებს გარეშე გამოაქვეყნა 2020 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი. 1985 წელს საფრანგეთის ქალაქ მონპელიემში ოთხი ჟურნალისტის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია მსოფლიო პრესის

თავისუფლების შეფასების მთავარ მეტრად ჩამოყალიბდა. მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი, რომელიც 2002 წელს დაფუძნდა, მრავალკომპონენტური შეფასების სისტემაა, რომელიც 180 ქვეყანაში ჟურნალისტური საქმიანობის

თავისუფლების ხარისხს ადგენს. კვლევაში გამოყენებულია ხარისხობრივი ანალიზი ჟურნალისტების შევიწროებისა და მათზე ძალადობის რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად. თავისუფლების ხარისხი მოწმდება შვიდი კრიტერიუმის შეფასების ხარჯზე, ესენია: პლურალიზმი, მედია დამოუკიდებლობა, გარემო და თვით-ცენზურა, საკანონმდებლო ჩარჩო, გამჭვირვალობა, ინფრასტრუქტურა და შევიწროება.

საქართველო 180 ქვეყანას შორის მე-60 პოზიციას იკავებს და ამ მონაცემით უსწრებს აღმოსავლეთ ევროპის არა ერთ ქვეყანას. საგულისხმოა, რომ საქართველოს პოზიცია 2018 წლის შემდეგ ერთი ერთეულით გაუმჯობესდა. ინდექსის შეფასებით საქართველოს მედია პლურალისტული, თუმცა საკმაოდ პოლარიზებულია; გასულ წლებში განხორციელებული რეფორმების ხარჯზე მდგომარეობა გაუმჯობესდა მედიის მესაკუთრეთა გამჭვირვალობისა და ტელემაუწყებლობის პლურალიზმის მიმართულებით, თუმცა მედია სუბიექტების მესაკუთრეთა გავლენა სარედაქციო პოლიტიკაზე საყურადღებო ფაქტორად რჩება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ქვეყნის მიმართ არსებული გლობალური პოზიტივის ფარგლებში კიდევ უფრო გააუმჯობესოს სამართლებრივი და პრაქტიკული ინსტრუმენტები მედია თავისუფლების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ საარჩევნო პერიოდში „მედია ტესტი“ უდანაკარგოდ ჩააბაროს.